საჯარო სამართლის იურიდიული პირი
მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

KA020157805891822

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**

 # 22/6074 **09 / აგვისტო / 2022 წ.**

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფ.ქოლობანის მიმდებარე ტერიტორიაზე (ფართობი - 649 080 კვ. მ), 1 947 240 კუბ. მეტრი ქვიშა-ხრეშის მოპოვების სკრინინგის განცხადებას (ID 54522/58156).

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით. სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზღვის დონიდან 30-40 მ სიმაღლეზე, აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქოლობანის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, Shape-ფაილი, გეოსაინფორმაციო პაკეტი -3 გვერდი.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

ირაკლი გელაშვილი